პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-40 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:
„ლ) სამხედრო წოდების ჩამორთმევა.“.

2. 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა და სამხედრო წოდების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.“.

3. 52^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 52^2 მუხლი:
„მუხლი 52^2. სამხედრო წოდების ჩამორთმევა
1. პირს მინიჭებული სამხედრო წოდება შეიძლება ჩამოერთვას ამ კოდექსის 37-ე და 38-ე თავებით და მე-14 კარით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.
2. სამხედრო წოდების ჩამორთმევა ხდება უვადოდ.“.

4. 355-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 355^1 მუხლი:
„მუხლი 355^1. მოხალისეობასთან დაკავშირებული უკანონო საქმიანობა
1. თავდაცვის სფეროში მოხალისეობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება სათანადო რეგისტრაციის გარეშე, თუ არ არის ამ კოდექსის 223-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები -
ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე
2. სათანადო რეგისტრაციის გარეშე მოქმედი, მოხალისეობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისათვის ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების მიწოდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ ისინი/იგი გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამგვარი საქმიანობის განსახორციელებლად, თუ არ არის ამ კოდექსის 223-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები -
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე
შენიშვნა:
1. თავდაცვის სფეროში მოხალისეობასთან დაკავშირებული საქმიანობა გულისხმობს „თავდაცვის კოდექსით“ განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.“

5. 356-ე მუხლის სათაური, მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 356. წვევამდელის მიერ სამხედრო ან არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება

2. წვევამდელის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება, მათ შორის, ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, ასევე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ადგილას 10 დღის ხანგრძლივობით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

6. 357-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 357. სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება

პირის მიერ სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“.

7. 382-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 382. სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ცნება

1. სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლება ამ კარით გათვალისწინებული ქმედება, მიმართული სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ, ჩადენილი სამხედრო მოსამსახურის მიერ ან რეზერვისტის მიერ სარეზერვო სამხედრო სამსახურის გავლისას.

2. ომიანობის ან საომარი მდგომარეობის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“.

8. 388-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, აგრეთვე სამსახურში (ნაწილში) საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღე-ღამისა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“;

ბ) შენიშვნის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

9. 389-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო ან სარეზერვო სამხედრო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო ან სარეზერვო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.“;

ბ) შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა: სამხედრო ან სარეზერვო სამხედრო სამსახურის მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.“.

10. 390[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 390[1]. სარეზერვო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით
სარეზერვო სამხედრო სამსახურის მოსამსახურის მიერ სარეზერვო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“.

11. **394-ე მუხლის სათაური, პირველი და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„მუხლი 394. საყარაულო სამსახურის ან სადღეღამისო განწესში შემავალი დაცვის სამსახურის წესის დარღვევა
1. საყარაულო სამსახურის ან სადღეღამისო განწესში შემავალი დაცვის სამსახურის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ყარაულის (ვახტის)/სამხედრო მოსამსახურის დასაცავი ობიექტის დაზიანება,-
ისჯება სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
3. საყარაულო სამსახურის ან სადღეღამისო განწესში შემავალი დაცვის სამსახურის წესის დარღვევა მისდამი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“.

მუხლი 2.
1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი - მე-4 ნაწილებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი - მე-4 ნაწილები, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**